განცხადება სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ

1. 2021 წლის 29 აპრილს გამოცხადდეს კონკურსი სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით და დაიწყოს პრეტენდენტთა რეგისტრაცია.
2. პრეტენდენტთა რეგისტრაცია დაიწყოს სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 2021 წლის 19 მაისის 10:00 საათიდან, მისამართზე ქ. თბილისი, ალ. გრიბოედოვის ქ. №8-10, ოთახი №212; სარეგისტრაციო განაცხადის გამოგზავნა ასევე შესაძლებელია ელექტრონულ მისამართზე: hr@tsc.edu.ge
3. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კანდიდატობის პრეტენდენტთა რეგისტრაციის ბოლო ვადად განისაზღვროს 2021 წლის 22 მაისის 18:00 საათი.
4. აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსანტების დოკუმენტური მონაცემების გაცნობა და პრეტენდენტებთან გასაუბრება განხორციელდეს 2021 წლის 24 მაისიდან არაუგვიანეს 2021 წლის 27 მაისისა. პრეტენდენთან გასაუბრება, ქვეყანაში საგანგებო, საომარი ან ისეთი მდგომარეობის არსებობისას, რომელიც ზღუდავს ფიზიკურ პირთა გადაადგილებასა და შეკრებას, აკადემიური საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით შესაძლებელია ჩატარდეს დისტანციურად, თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკისა და პროგრამების გამოყენებით.
5. აკადემიური საბჭოს მიერ პრეტენდენტების შეფასების განხორციელებისა და კონკურსის საფუძველზე შერჩეული ერთი კანდიდატურის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის წარდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს არაუგვაინეს 2021 წლის 29 მაისისა.
6. პრეტენდენტი უნდა იყოს:
ა) უმაღლესი განათლების მქონე;
ბ) ფინანსური ან/და მატერიალური ან/და ადმინისტრაციული რესურსების მართვის სფეროში გამოცდილების მქონე;
გ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის გამოცდილების მქონე;
დ) 65 წელზე ნაკლები ასაკის.
7. პრეტენდენტმა სარეგისტრაციოდ უნდა წარადგინოს:
ა) განცხადება აკადემიური საბჭოს სახელზე (იხ. განცხდების ფორმა)
ბ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) ასლი;
გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;
დ) ავტობიოგრაფია (CV);
ე) კონცეფცია და სამოქმედო გეგმა;
ვ) 2 ფოტოსურათი, ზომით 3X4-ზე;
ზ) ნასამართლობის შესახებ ცნობა;
თ) სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების ცნობა
ი) სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი, სათანადოდ გაფორმებული დოკუმენტი – შრომის წიგნაკი ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ცნობა, რომელშიც ასახული იქნება სამსახურის დაწყებისა და დასრულების სრული თარიღები და დაკავებული თანამდებობა;

დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოენოვანი საბუთების შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის
აკადემიურ საბჭოს

მოქალაქე _____

_____

_____

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ხელმოწერა: _____ თარიღი: _____

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი/ ელ.ფოსტა